სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება №01-06-02/29

ქ. თბილისი 24 ივლისი 2026

სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „ელექტრომეტალურგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ სახელწოდების და დებულების ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის №01-05-04/83 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 24 ივლისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. შეეცვალოს დასახელება სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედ „ელექტრომეტალურგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს“ და ეწოდოს „ნავთობის გადამუშავების ტექნოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“;
2. დამტკიცდეს „ნავთობის გადამუშავების ტექნოლოგიური სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ დებულება;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**